

**ნიმო ნაწილობრილი, კაპატა ალკაპრდაპვილი
(საქართველო)**

ბატონების იავნანები და შინაგანი ოჯახის სისტემის თერაპია

ბატონების იავნანები, როგორც კურნების მეთოდი

ბოლო წლებში აქტუალური გახდა მუსიკის, კერძოდ – ხალხური მუსიკის თერაპიულ დანიშნულებაზე საუბარი და მისი პრაქტიკაში გამოყენება. **ნითელას, ჩეტყვაილას** თუ სხვა ინფექციების სამკურნალო, უძველესი ქართული რიტუალი და მასში შემავალი სიმღერა **ბატონების იავნანა**, ფუნქციურად სწორედ თერაპიული, საკურნებელი დანიშნულებისა იყო. ეს ტრადიცია და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენა დღეს მიღვევის პროცესშია, მაგრამ ზოგ ადამიანში ჯერ კიდევ აგრძელებს ცოცხლად, პირველადი დანიშნულებით არსებობას.

ერთ-ერთ ასეთ „ცოცხალ“, უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენს მეგრული **ბატონების იავნანის** გამორჩეულ ნიმუში „ია პატნეფი“. ქალაქ ზუგდიდში ჯერ კიდევ არსებობს **ბატონების იავნანებით** მკურნალი ადამიანი, რომელსაც სჯერა საკურნებელი სიმღერის მაგიური ძალის. ინფორმატორმა, ვეფხია ანთიამ, თავად მოგვითხრო, რომ მას ბატონების დაავადება ბავშვობაში შეყრია. ავადმყოფობის გართულებისას, სიზმრად უნახავს ღვთისმშობლის სახის ქალი, რომელსაც ჩონგური მიუწოდებია. ამავ დროს, ძილში გაუგონია „ტკბილხმიანი იავნანა“. გამოღვიძებულზე ჩონგური მოუთხოვია და მაშინვე უმღერია სიზმრად განაგონი „ია პატნეფი“ (ია ბატონები), რომელიც ამ ჟანრის განსხვავებული და გამორჩეული მხატვრული ნიმუშია.

წინამდებარე ნაშრომით ჩვენ გვსურს, მეტად წარმოვანროთ **ბატონების იავნანების**, როგორც სემანტიკური, ასევე, მელოდიური აღნაგობის საკურნებელი მნიშვნელობა. ამისთვის, ჩვენ, ერთი მხრივ, გავავლებთ პარალელს იავნანების ტექსტების შინაარსსა და ერთ-ერთი პოპულარული ფსიქოთერაპიის, **შინაგანი ოჯახის თერაპიის** პრინციპებს შორის. მეორე მხრივ, გავაკეთებთ შედარებით ანალიზს სხვადასხვა კულტურაში არსებული, კურნების მეთოდებისა და **ბატონების იავნანების** მელოდიურ აღნაგობას შორის.

**სხვადასხვა კულტურის საკურნებელი
მელოდიების ინტონაციური აგებულება**

სტატიაში აღნიშნულია, რომ კვინტა ყველაზე კონსონანსური ინტერვალია დასავლური ყურისათვის. მუსიკის თერაპევტები იყენებენ თასებს, რომლებიც კვინტურ ინტერვალებზე აწყობილი (Humphries, 2010).

არიზონას შტატის ჰარმონიული მეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, დოქტორი ჰაროლდ გრანდსტაფ მოსესი აღნიშნავს: „ჩვენ ჩავატარეთ მრავალი კვლევა ბგერის სიხშირეზე, ჰარმონიებზე, ტემპზე, ფერზე, სინათლეზე და ვიზუალურ ეფექტებზე, იმისთვის, რომ გამოგვეშლავნებინა ის, რაც გავლენას ახდენენ ემოციებსა და გრძნობებზე, პროცესებზე, რომლებიც ხელს უწყობენ მკურნალობას, ამცირებენ სტრესს და აგენერირებენ სულიერ ცნობიერებას.

დოქტორ ჰაროლდის თქმით, მათი კვლევა აჩვენებს, რომ მუსიკალურ ინტერვალ წმინდა კვინტასა და მისი გაჟღერების შედეგად წარმოქმნილ ჰარმონიულ ობერტონებს აქვთ შესაძლებლობა, გავლენა მოახდინონ ნერვულ სისტემაზე, როდესაც ისინი მოდიფიცირდებიან მსმენელის ქვეცნობიერში (Shresth, 2009).

მკვლევარი ამ ჰიპოთეზის შემაჯამებლად აყალიბებს აზრს, რომ როდესაც შამანური მკურნალობის უძველესი მეთოდები სამყაროს სხვა წერტილში – მსოფლიო რუკის ერთ-ერთ საპირისპირო მხარეს – ჯერ კიდევ გადარჩენილია, უძველეს ტრადიციას შეუძლია განაახლოს ის მეთოდები, რაც თანამედროვე დასავლურ საზოგადოებას სჭირდება (Wigram, Pederson, 2002).

ბატონების იავნანის ინტონაციური აგებულება

ჯერ კიდევ XX საუკუნის II ნახევარში, შალვა ასლანიშვილი წერდა „იავნანის“ ჟანრის გამოკვეთილ მელოდიაზე/ინტონაციებზე: „ეს არის „სადიდებლად განკუთვნილი“, „ვედრების ინტონაცია“, „ღვთაებისადმი მიმართვა“ (ასლანიშვილი, 1954). მართლაც, დღემდე იავნანას სხვადასხვა – სამკურნალო, სავედრებელი, სადიდებელი – სახით ვხვდებით, რომელთაგანაც, შესაძლოა, სამი მათგანის გამოყოფა: *ბატონების, ღვთის კარზე სათქმელი და ზედაშის იავნანები*.

შევჩერდებით სამკურნალო იავნანების მელოდიურ, ინტონაციურ აგებულებაზე, იმ კილო-ინტონაციურ ფორმულებრივ მახასიათებლებზე, რომლებიც ერთგვარ „სამკურნალო კოდებს“ ქმნიან. ცნობილია, რომ ინტერვალებს, ინტონაციურ ფორმულებს თავისი სემანტიკური დანიშნულება ჰქონდათ საეკლესიო მუსიკაში, რომლებიც სხვადასხვაგვარ ემოციურ განწყობას ქმნიდნენ მსმენელსა თუ შემსრულებელში (მანაგაძე, 2006). ჩვენი აზრით, ამგვარი ფორმულებრივი აზროვნება ხალხურ მუსიკაშიც იქნებოდა შემუშავებული. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში სხვადასხვა კუთხის თოთხმეტი იავნანის ანალიზის საფუძველზე ე.წ. ჰანგ-მოდელების სისტემატიზაციას შევეცადეთ.

ურთიერთშედარებისას, გარკვეული სტაბილური მახასიათებლებით გაიმიჯნა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ნიმუშები. ინტონაციურ-მელოდიური აგებულებით, ქართლური, კახური და მესხური ვარიანტები ერთმანეთის მსგავსია და ენათესავება ე.წ. „იავნანის ტიპის“ ნიმუშებს (აუდიომაგ. 1-6). ეს ნიმუშები სექსტურ-სეპტიმური კილო-ინტერვალური აღნაგობით ხასიათდებიან.

დასავლეთ საქართველოს ბატონების იავნანები უმეტესად კვინტური კილო-ინტონაციით ხასიათდებიან (სამეგრელო (2 ვარიანტი), იმერეთი (2 ვარიანტი), რაჭა (3 ვარიანტი), გურია (1 ვარიანტი)). ამ კუთხეების ე.წ. „სამკურნალო მელოდიურ ფორმულებად“ კვარტა-კვინტური ინტონაციები იკვეთება (აუდიომაგ. 7-13).

ვფიქრობთ, ამ სამკურნალო მიდგომის გაზიარება/მორგება შეგვიძლია ქართული სამკურნალო სიმღერების – *ბატონების იავნანების* გამოყენებით. მით უფრო, რომ უკვე რამდენიმე ქვეყანაში (გერმანია, ბელგია, ირლანდია) მისი თერაპიული მიზნით გამოყენების წარმატებული მაგალითები გვაქვს.

შინაგანი ოჯახის სისტემის თერაპიის ძირითადი პრინციპები

შინაგანი ოჯახის სისტემის (შოს) (Internal Family Systems) მიდგომა წარმოადგენს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ფსიქოთერაპიულ პრაქტიკას. აღნიშნული მიდგომა შეიქმნა ამერიკელი ფსიქოთერაპევტის, რიჩარდ შვარცის მიერ. შოს-ი გამოიყენება სხვადასხვა ფსიქო-ემოციურ სირთულეებთან გასამკლავებლად, როგორც მსუბუქი, ისე მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმული მდგომარეობების სამკურნალოდ (Anderson & Sweezy, 2017).

შოს ადამიანს განიხილავს, როგორც იმთავითვე კარგ არსებას. მისი „მე“ (self) არის მხოლოდ დადებითი თვისებების მატარებელი. ამასთანავე, ადამიანს აღნიშნება არაადაპტური, დისფუნქციური, „არაკარგი“ ემოციები, განზრახვები თუ ქცევები, რომლებიც უყალიბდება ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. იმის გამო, რომ

ადამიანს აქვს გენეტიკურად განპირობებული, სათანადო ნეიროფსიქოლოგიური აპარატი, აღნიშნული გამოცდილებები ყალიბდებიან, როგორც ადამიანის პიროვნული თავისებურებები, შოს-ის მიხედვით – ადამიანის „ნაწილები“ (Schwartz, 2021).

შოს-ის მიხედვით, ადამიანში ყალიბდება 3 ძირითადი ტიპის „ნაწილი“: *განდევნილი (exile)*, *პრაქტიკული დამცველი* (იგივე მენეჯერი) და რეაქტიული დამცველი (იგივე მეხანძრე). განდევნილი ნაწილი არის ისეთი მძიმე გამოცდილებების შედეგად ჩამოყალიბებული, რისი გადახარშვა, ინტეგრირება ადამიანის სისტემას არ ძალუძს, მისი ინტენსივობის გამო. ამიტომ, სისტემა მას საგულდაგულოდ მალავს, გააქვს ცნობიერების მიღმა, ე.წ. არაცნობიერში. მენეჯერი და მეხანძრე დამცველები კი ყალიბდებიან იმ მიზნით, რომ დაიცვან სისტემა ემოციური გადაწვისგან და უზრუნველყონ სიყვარულის, პატივისცემის, საზრისული კავშირების, აღიარების, დაფასების მოზიდვა სხვა ადამიანებისგან. დამცველები ვლინდებიან შემდეგ ქცევებში: ზედმეტი კრიტიკულობა, კონცენტრირებულობა მუდმივი დაძაბულობით, დარცხვენა, გადამეტებული მუშაობა, სხვების და საკუთარი თავის მიმართ გადამეტებული კრიტიკულობა (მენეჯერი დამცველი), აგრეთვე, ემოციური აფეთქება, უხამსობა, მავნე ნივთიერებების მოხმარება, საყიდლებისადმი გადაჭარბებული სწრაფვა და არანორმალური კვება (მეხანძრე დამცველები) (Schwartz, Richard, 1995).

შოს-ის მიხედვით, პიროვნების მთავარ მდგენელს, „მე“-ს აქვს რვა ძირითადი მახასიათებელი, რითაც ის ურთიერთობს გარესამყაროსთან. რაც ყველაზე მთავარია, იმისთვის, რომ ადამიანმა კურნებას მიაღწიოს, ის თავის თავს, შიდა პიროვნულ სამყაროს (შოს-ის მიხედვით – ნაწილებს) უნდა ეპყრობოდეს ამ თვისებებით (Eარლეყ, 2009). ეს მახასიათებლებია:

1. სიმშვიდე მაშინაც კი, როდესაც გარემოში არასახარბიელო მდგომარეობაა; მშვიდად იღებ და აკვირდები მიმდინარე მოვლენებს და არა რეაქტიულად, იმპულსურად;

2. სიცხადე მოვლენების აღქმისას და ინტერპრეტირებისას, გადაჭარბებული ემოციური თუ აზრობრივი გავლენების გარეშე. სიცხადე იმის შესახებაც, თუ რა აზრობრივი მიკერძოებები გვაქვს, როგორც ობიექტური აღქმის ხელისშემშლელი ფაქტორები;

3. ცნობისმოყვარეობა ახალი ფაქტების თუ ცოდნების მიმართ არაგანმკითხველი, დამყვავებლური დამოკიდებულებით;

4. თანალობა საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, როდესაც თანამყოფი ხარ იმისა, რაც არის აქ და ახლა, მხოლოდ განკითხვის, დისტანცირების, შეცვლის და მოგვარების განზრახვის გარეშე. აგრეთვე, როდესაც მშვიდად აცნობიერებ, რომ სხვისი ტკივილი შენზე გავლენას ახდენს, იმიტომ, რომ ურთიერთდაკავშირებულები ვართ.

5. თავდაჯერებულობა არის იმის განცდა, რომ შეგიძლია თანამყოფობა და გამკლავება იმ პროცესთან, რაც ხდება შენში და გარშემო, მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, ზოგჯერ შეცდომებს უშვებდე;

6. გამბედაობა არის ის ძალა, რის საშუალებითაც მიზნისკენ დგამ ისეთ ნაბიჯებს, რაც სხვისთვის შეიძლება დამორგუნველად ჩანდეს;

7. შემოქმედებითობა არის უნარი, წარმოისახო სირთულეებთან გამკლავების სხვადასხვა გზა, ზოგჯერ არატიპურიც კი. შემოქმედების პროცესში ხდება ქმნადობით და თანაქმნადობით ტკობა;

8. დაკავშირებულობა არის შეგრძნება, რომ ხარ რაღაც საერთო, დიდის ნაწილი, რომ ხარ სხვას(ებ)თან ისეთ მიმართებაში, როდესაც არ ელი განკითხვას,

კონტროლს და უარყოფას, არამედ დაფასებას, სიყვარულსა და თანაღმობას.

თუ ადამიანს უნდა, რომ მასში არსებულ დისფუნქციურ ნაწილებს (როგორც ფსიქოლოგიური დარღვევების შედეგს) გაუმკლავდეს და მოაგვაროს, ამისთვის მან უნდა დაამყაროს უშუალო კავშირი, ესაუბროს ამ არაკომფორტულ ემოციებს თუ აზრებს. რაც არსებითად მნიშვნელოვანია, პიროვნება ამ ნაწილებს უნდა მოეპყრას სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებითა და განწყობებით.

ბატონების იავნანასა და შოს-ის პრინციპებს შორის ურთიერთკავშირი

თუკი ადამიანს ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური დარღვევა ემართება, ერთი შეხედვით, შეშფოთება, მისი დროულად მოშორების სურვილი ნორმალურ რეაქციად მოჩანს. თუმცა, ბატონების იავნანების ტექსტების გარჩევისას, სრულიად სხვა შემთხვევებს ვხვდებით.

ბავშვისთვის წითელა ანდა ჩუტყვავილა საკმაოდ რთული და არასასიამოვნო დაავადებაა. თუმცა, ამ დროს, მასზე მზრუნველი (დედა, ბებია ან სხვა) გადანყვეტდა, რომ ამ დაავადებისთვის ემღერა დამყვავებლური, შემგებებლური, დამატკობელი დამოკიდებულებით, რაც მეტად უჩვეულოა დღევანდელი კონვენციური მედიცინისა თუ ზოგადი კულტურის გადმოსახედიდან.

იავნანების ტექსტები გამოხატავენ ისეთ დამოკიდებულებას, რაც სრულ თანხვედრაშია ზემოთ ჩამოთვლილ თვისებებთან და შოს-ის მიხედვით, ადამიანს უნდა ჰქონდეს იმისთვის, რომ გაუმკლავდეს საკუთარ ფსიქოლოგიურ „დაავადებებს“. „ბატონები მობრძანდნენ და გაგვახარეს“ და „დატკბით, დატკბით, დაშოშინდით, ვარდო ბატონებო“ გამოხატავს იმ მშვიდ (1) და თანაღმობის (4) დამოკიდებულებას, რაც საჭიროა სირთულეებთან გადაყრის დროს შოს-ის მიხედვით. „თქვენსა გზასა მოვფენ ვარდსა“ და „დატკბით ტკბილად ბატონო“, ჩვენი აზრით, გამოხატავს საჭირო თავდაჯერებულობას (5) და დაკავშირებულობას (8). ჩვენი ხედვით, ბატონების იავნანების მთელი ეს შინაარსობრივი და რიტუალური მხარე მდიდარია შემოქმედებითობით (7). თუ წარმოვიდგინოთ, თუნდაც, 4-5 საუკუნის წინანდელ ყოფას, სადაც არანაირი თანამედროვე სამედიცინო დიაგნოსტიკური და სამკურნალო საშუალებები არ არსებობდა, ასეთი შემოქმედებითი მიდგომა, უდაოდ, მოითხოვდა სიმამაცეს (6), რაც ასე ცხადად ჩანს ზემოთ მოტანილი ტექსტების ფრაგმენტებშიც კი.

დასკვნა

ვფიქრობთ, რომ ნიშანდობლივია იავნანების ინტონაციური აგებულების მსგავსება სხვა კულტურების კურნების სიმღერების სტრუქტურებთან. აგრეთვე ის ფაქტი, რომ თანამედროვე ავტორიტეტული ფსიქოთერაპიული მიდგომის, შოს-ის ძირეული პრინციპები იმეორებს ქართულ არქაულ კურნების კულტურაში გამომჟღავნებულ დამოკიდებულებებს. აღსანიშნავია, რომ ქართული იავნანები ირლანდიაში, ფსიქიატრიულ კლინიკაში, გუნდ „ზურმუხტის“ და ლუისე ბრენანის მიერ, გამოიყენება სამკურნალო ფუნქციით. ის, ასევე, გამოიყენება ლონდონის ერთ-ერთ ბუღიზმის ცენტრში, მედიტაციის დროს (ინფორმატორი ალი ვარნერი/Ali Warner). ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ბატონების იავნანების კურნების პოტენციალი სათანადოდ იქნება გამოკვლეული და დაფასებული სპეციალისტების მიერ.

აუდიომაგალითები

- #1. იავნანა, ქართლი. ასრულებს ანსამბლი „იალონი“ (სოლისტები: თამარ ახობაძე, ნინო ნანეიშვილი). ჩანერილია სოფ. ნორიოში ნუცა კურატაშვილისგან (საოჯახო არქივი).
- #2. იავნანა, ქართლი. ასრულებს ანსამბლი „მზეთამზე“ (სოლისტი: ნატალია ზუმბაძე).
- #3. იავნანა, კახური, ფანდურით. ასრულებს ლამარა ბახბახიშვილი. ჩანერილია სოფ. ვარდისუბანში. ნინო ნანეიშვილის პირადი არქივი. 2020.
- #4. იავნანა, კახური, ფანდურით. ასრულებს ანსამბლი „მზეთამზე“ (სოლისტები: ქეთევან ბაიაშვილი, ნინო კალანდაძე). ჩანერილია სოფ. ყვარელში, მინდია ჟორდანიას მიერ.
- #5. იავნანა, მესხური. ასრულებს მარო ჟუჟუნაძე. ჩანერილია სოფ. მუსხში. ნინო ნანეიშვილის პირადი არქივი. 2020.
- #6. ღვთის კარზე სათქმელი იავნანა. ასრულებენ გულო თადიაშვილი და ფატი ბუთიაშვილი. ჩანერილია სოფ. გავაზში. ნინო ნანეიშვილის პირადი არქივი. 2020.
- #7. ია პატნევი, ჩონგურით. ასრულებს ანსამბლი „იალონი“ (სოლისტი: ნინო ნანეიშვილი). ჩანერილია ნინო რაზმაძის მიერ. პირადი კოლექცია.
- #8. ია პატნევი. ანსამბლი „მზეთამზე“.
- #9. იავნანა, რაჭული. უცნობი შემსრულებლები. ჩანერილია სოფ. გლოლაში, შალვა ასლანიშვილის მიერ. 1954.
- #10. იავნანა, რაჭული. უცნობი შემსრულებლები. ჩანერილია სოფ. ღებში, შალვა ასლანიშვილის მიერ. 1954.
- #11. იავნანა, რაჭული. ანსამბლი „მზეთამზე“. სოლისტი ნუნუკა შველიძე.
- #12. ბატონების ნანინა, იმერული. ასრულებს ანსამბლი „იალონი“.
- #13. საბოდიშო, გურული. ასრულებს ანსამბლი „იალონი“.

გამოყენებული ლიტერატურა

- Anderson, F., & Sweezy, M. (2017). *Internal Family Systems Skills Training Manual: Trauma-Informed Treatment for Anxiety, Depression, PTSD & Substance Abuse*. Eau Claire, WI, United States, Wisconsin: PESI Publishing & Media.
- Earley, J. (2009). *Self-Therapy a Step-By-Step Guide to Creating Wholeness and Healing Your Inner Child Using IFS*. Larkspur: Pattern System Books.
- Humphries, K. (2010). *Healing Sound: Contemporary Methods for Tibetan Singing Bowls*. Loyola: Loyola Marymount University.
- McConnell, S. (2020). *Somatic Internal Family Systems Therapy*. Berkley: North Atlantic Books.
- Schwartz, R. (2021). *No Bad Parts*. Colorado: Boulder.
- Schwartz, R. (1995). *Internal Family Systems Therapy*. New York: The Guilford Press.
- Shrestha, S. (2009). *How to Heal with Singing Bowls: Traditional Tibetan Healing Methods*. Boulder: Sentient Publications.
- Wigram, P. (2002). *A Comprehensive Guide to Music Therapy: Theory, Clinical Practice, Research, and Training*. Philadelphia: Jessica Kingsley Publishers.
- ასლანიშვილი, შ. (1954). ნარკვევი ქართული ხალხური სიმღერის შესახებ. თბილისი.
- მანაგაძე, ბ. (2006). წმიდა ანდრია კრიტელის „სინანულის კანონი“ და მისი ქართული ძღისპირები. თბილისი.